№ 174

პარასკევი, 14 აგვისტო, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

გაზეთის ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 21 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 174

პარასკევი, 14 აგვისტო, 1898 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ სენაკის სათავად-აზნაურო სკოლაში თავისუფალია ადგილი ორის მასწავლებლისა. მასწავლებლობის მსურველთ უნდა მიჰმართონ თხოვნით საზოგადოების გამგეობას. (5—უ.—1)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

პ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ი. რუდენკო. $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი. —დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. შ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ხ. გ. ბურკო. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის· ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ· ნერვებისა და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; არიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову·

(წ)

## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარმართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი პეტერბურგიდგან დაბრუნებისათანავე დაივლის და დაათვალიერებს დაღესტნის ოლქს.

*** დღეს, 14 ოქტომბერს საღამოს, სიონის ტაძარში ღამის თევით ილოცავს მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი ფლაბიანე.

*** ტფილისის პოლიცმეისტერმა 12 აგვისტოს ბრძანება გასცა იმის შესახებ, რომ პოლიციელმა და პოლიციის მოხელეებმა თვალ ყური ადევნონ ეზოების სისუფთავესა და სიწმინდეს. ამ ბრძანების ძალით, პოლიციის მოხელენი ვალდებულნი არიან მალ-მალ დაათვალიერონ იმ სახლის ეზოები, რომელიც იმათ ნაწილშია. ამასთან ბრძანებაში ნათქვამია, რომ თუ რომელისამე სახლის ეზო უსუფთაო აღმოჩნდა, ამ ნაწილის პოლიციის მოხელეთ შესაფერი სასჯელი გარდახდებათ.

*** ქალაქის გამგეობას შვიდამდის რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ამხანაგობამ განუცხადა, რომ გამგეობის მიერ შემუშავებულ პირობებით ჩვენ ვიკისრებთ ქალაქის ელექტრონით განათების საქმესაო. გამგეობა მსრულველთა განცხადებების მიღებას მოსპობს 17 აგვისტოს და შეუდგება ყველა ამხანაგობის წინადადების განხილვას, რომ ეს საქმე წარუდგინოს საბჭოს პირველსავე კრებას.

*** ტფილისის საგუბერნიო მკურნალი ბ-ნი ქიქოძე გუშინ, 13 აგვისტოს, წავიდა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრაში იქ არსებულ სასოფლო თავშესაფარების სარევიზიოდ და ურაველის სამკურნალო წყაროების დასათვალიერებლად.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობის მიერ შემუშავებული პროექტი იმ წიგნთ-საცავის წესდებისა, რომელიც ამ გზაზედ მოსამსახურეთათვის უნდა დაარსდეს, სახელმწიფო რკინის გზების გამგეობამ უკვე მოიწონა და წარუდგინა უმაღლესს მთავრობას მისდა დასამტკიცებლად.

*** გუშინ, 13 აგვისტოს, საბჭოს აღმასრულებელმა კომისიამ, რომელსაც ქ. ტფილისის უძრავ ქონებათა ხელ ახლად დაფასება ჰქონდა რწმუნებული, უკვე გადასცა ქალაქის გამგეობას მისდა დასამტკიცებლად დაფასების ფურცლები, რაც-კი შეეხება პოლიციის მეოთხე ნაწილში მდებარე უძრავ ქონებათ. ეს ფურცლები საბოლოოდ გადასინჯულია და შევსებული.

*** ქუთაისის გუბერნიის, რაჭის მაზრის, შაორის ველში, რომელიც ტყიბულიდგან 18 ვერსის მანძილზედაა, 10 აგვისტოდგან დროებით, ვიდრე ჯარი იქმნება იქ დაბანაკებული, დაარსებულ იქმნა საფოსტო განყოფილება.

*** ქალაქის გამგეობას განუზრახავს ქალაქის ქუჩებისთვის თუნუქის ისეთი განცხადებანი გამოიწეროს პეტერბურგიდგან, რომელზედაც ქუჩის სახელი ეწერება და ამ წარწერის წაკითხვა ბნელს ღამეშიაც შესაძლებელი იქნება.

*** სატყეო დეპარტამენტის დირექტორმა ბ-ნმა ნიკიტინმა, რაკი უკანასკნელ წელს შემოღებული წესრიგი ხე-ტყით სარგებლობის შესახებ მეტად შემავიწროებლადა სცნო ტფილისის გუბერნიის მცხოვრებელთათვის, შემდეგი განკარგულება მოახდინა: 1) გლეხ-კაცობას უფასოდ უნდა მიეცეთ ძირს ნაყარი ხე-ტყე იმ სახელმწიფო ტყიდგან, რომელიც სასოფლო საზოგადოების მახლობლად მდებარეობს; 2) მახლობელ სახელმწიფო ტყიდგანვე უნდა მიეცეთ უფასოდ სოფლელთ ყოველივე ხე-ტყის მასალა; 3) გაუქმებულ იქმნას ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო მამულების გამგეს ბ-ნ ბეკის განკარგულება იმის შესახებ, რომ გლეხთ საქონებით დაახორავონ ხოლმე გასაზიდი ხე-ტყეო და ნება მიეცეთ წინანდებურად ურმობით ჰზიდონ ძირს ნაყარი ხე ტყე, მხოლოდ ახლად მოჭრილი $^1/_8$ კუბ. საჟ. ტოლა დაახორავონ ხოლმე გასაზიდად იქ, სადაც თვით გლეხები მოისურვებენ, თუნდა სოფლის მახლობლადაც, და 4) ნება მიეცეთ გლეხებს ისარგებლონ ყოველ ბუჩქნარიან ადგილებით, გორაკებიან მამულების გარდა.

*** ქალაქის სამხედრო ბეგრის საკრებულოს თავმჯდომარედ დანიშნულია ქალაქის მოურავი გ. გ. ევანგულოვი, წევრებად: სამხედრო უწყებისაგან კაპიტანი ა. ს. ძლენტი, პოლიციისაგან ბოქაული ა. ა. კუზმინსკი, ქალაქისაგან ხმოსანნი ა. ი. ოდნოსუმოვი და ი. ს. ბუდაღოვი. ექიმებად სამხედრო ლ. ნ. კოიცეხოვსკი და ქალაქის ექიმი გ. გ. მაღალაშვილი. კენჭის ყრა ჯარში გასაყვანად ახალგაზდა ყმაწვილ კაცთა, რომელნიც დაბადებულან 1876 წლ. 1 ოქტომბრიდგან 1877 წლის 1 ოქტომბრამდე, დანიშნულია 15 ოქტომბერს. სულ ჯარში უნდა გავიდეს ამ წელს ქ. ტფილისიდგან 104 კაცი, მათ შორის 61 ქართველი და სომეხი. 16 ოქტომბრიდგან შეუდგებიან იმათ შემოწმებას.

*** ხუთშაბათს, 13 აგვისტოს, ტფილისში ჩამოვიდნენ პეტერბურგიდგან და უკვე [illegible] ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელთან ბელგიელ ელექტრონის ცხენის რკინის გზათა გამყვან საზოგადოების („Compagnie de traction et d'électricité“) რწმუნებულნი, რომელნიც ქალაქის გამგეობას ინჟინერმა ყაზბეგმა ურჩია. ეს რწმუნებულნი ორი ინჟენერია—

## ფელეტონი

### გლეხის ცხოვრება

(სურათი)

— ჩუ!.. მგონი ვიღაც მოდის. სანდრო ერთი გარეთ გაიხედე,—უთხრა ილომ და სანდროც თვალის დახამხამების უმალ გარეთ გავიდა.

ეზოში სანდროს წინ შეეფეთა იაკობი, რომელიც პირდაპირ სახლისაკენ მოდიოდა.

— ოჰ, შენა იაკობ,—მიაძახა სანდრომ სტუმარს და სახლში შეუძღვა. შესვლისათანავე იაკობი ყველას მიესალმა და დაგიზგიზებულ ცეცხლს მიუჯდა.

— როგორა ხართ, იაკობ? დაეკითხა ილო და თვალები იმისკენ მიაპყრო.

— ეჰ, ვართ რაღა, ღვთისა და თქვენის წყალობით სულს მივათრევთ ვაი-უბედურებით.

— დღეს საით მუშაობდით?—შეეკითხა ილო.

— ეს ორი დღეა, ნათლია, რაც თქვენ ზიარ საყანესა ვხნავდი, მიწა მეტის-მეტად სველია და კინაღამ ხარიან-კაციანად შიგ ჩავიხოცენით, მაგრამ რა... მოვიდოდეს მაინც შიგ რამე, ყოველ წლობით ეგრე ვიტანჯებით, ვწვალობთ, მაგრამ ჩემს სიცოცხლეს სიკეთე არ ეტყობა და ჩემი ნაშრომი ზოგი „საფოსტოს“ უნდა მივცე, ზოგი მღვდელს და ზოგიც ბერს. ყველას თავისი შესაფერი პატივისცემა უნდა და ეს ჩემი წლის ნაშრომი სიმინდი ხომ არ ეყო... გავყიდე, მე-კი დღეს სიმშილით ფერ-დი-ფერდს უნდა მიმეკრას და ნახევრად მშიერი უნდა ვიყო ჩემის ცოლშვილით, ვიდრე ახალი სიმინდი მოვიდოდეს,—სთქვა იაკობმა და თავი ძირს ჩაჰკიდა.

— ეჰ, რა ვქნათ, შენი ჭირიმე, ყველანი ასეთს ტანჯვასა და წვალებაში ვართ, მეც აგერ ლუკმა პურისთვის წელებზედ ფეხებს ვიდგამ და ჩემს მოთხოვნილებას ძლივს-ძლიობით ვასწორებ,—ხვნეშით დაუმატა ილომ.

— ამ საღამოს დავბრუნდი თუ არა მუშაობიდგან, დამახვედრეს ამბად, რომ დღეს „ხელოსანი“ იყო და დაიძახა, რომ თუ ხვალ ათი შაური არ დამახვედრეთ, სახლს „გაგიხაბაკებთო“. გული შემიღონდა, მაგრამ რას ვიზამდი, აქეთ ვეცი, იქით ვეცი, ვერაფერს გავხდი და ეხლა თქვენთან მოვედი... ჩემო ნათლია, შენი ჭირიმე, იმდენი სიკეთე მიქენი, რომ როგორმე ამ გაჭირვებიდგან მიხსენი და თუ მიბრძანებ, სამს დღეს ვიმუშავებ თქვენსა...

— კარგი, გიშოვი როგორც იქნება,—ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ უთხრა ილომ.

ვახშმის დროც მოახლოვდა. იაკობმა წამოიწია წასასვლელად, მაგრამ არ გაუშვეს. დაალაგეს კიდეც ყოველივე სანოვაგე და სიამოვნებით შეექცნენ ვახშამს. ვახშმის შემდეგ ილომ გაალო თავისი დანჟღრეული ყუთი, იქიდგან ამოიღო ათი შაური და გადასცა იაკობს: თუ კაცი ხარ, მალე მომიტანე, მეც დამჭირდება მერეო—თან დაუმატა ილომ და იაკობი კარებამდის მიაცილა.

II

იაკობი იყო ერთი იმ გლეხთაგანი, რომელიც ჩვენის სოფლის ცხოვრებაში ვაი-უბედურებითა და დიდის გაჭირვებით ეწევა ჭაპანს, თავისი ძალღონე თითქმის შეულევია თავის ბედკრულ ცხოვრებისა და არსებობისათვის და ეს ცხოვრება ვერას გზით ვერ გაუმჯობესებია, პირ-იქით, მისი ბედ-ილბლის ჩარხი უკუღმა გადაბრუნებულა. ილო? ილო-კი ეკუთვნის იმათ რიცხვს, რომელთაც თავისის მცირეოდენის სწავლითა და გამოცდილებით თავისი ცხოვრება ისე გაუუმჯობესებიათ, რომ სოფლად თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ.

ჯერ კიდევ ათის წლის იაკობი მშობლებმა ნათლია ილოს მწყემსად დაუყენეს. იაკობი თავისს საქმეს ერთგულად ეკიდებოდა, ყოჩაღად იქცეოდა და მალე ნათლიას თვალში სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ყოველ წლობით ჩვენი იაკობი თავისს მცირე ჯამაგირს ძალზედ ღარიბ მშობლებს მიუტანდა და ამითი ცოტათი მოასულიერებდა ხოლმე. მაგრამ, საუბედუროდ, იაკობი ჯერ კიდევ ოცის წლისა არ იყო, რომ მშობლები დაეხოცა. დარჩა მარტო-მარტო გაღატაკებული იაკობი თავისს გაციებულს ოჯახში. იაკობს არ უნდოდა თავისის ოჯახის გაცივება და ამისათვის სხვების ჩაგონებით ოც-და ორის წლის იაკობმა ცოლად შეირთო თავისავით გაღატაკებულის გლეხის ქალი.

გავიდა ხუთი წელიწადი მას აქეთ, რაც იაკობი დაქორწილდა, და იგი ეხლა უკვე ქვრივია. „უბედურს კაცს ქვა აღმართში მოეწიაო“, რომ იტყვიან, სწორედ ეს არის. უიმისოდაც გაღატაკებული იაკობი სულ ხელ-ცარიელი დარჩა. გაჰყიდა სახლი და როგორც იყო დამარხა ცოლი, შემდეგ მოსწნა ფაცხა და შიგ დაბინავდა თავისის სამის წლის ვაჟით.

ბედით დაჩაგრული იაკობი კვლავ შეუდგა ცხოვრების განგრძობას, რამდენიმე წელიწადი ჯერ კიდევ ახალგაზდა იაკობმა იგლოვა ცოლი, ცოტაოდნად ფეხზედ დააყენა თავისი მინგრეულ-მონგრეული ნასახლარი და შემდეგ კვლავ ითხოვა მეორე ცოლი, ისიც თავისავით ახალგაზდა, და ბედისაგან დაჩაგრული და ობოლი.

III

მშვენიერი დილაა. მზემ ამოაშუქა და ნამიან ფოთლებზედ ათასფრად აბჭყვრიალდა. მთელი სოფელი გაცოცხლდა, ყველა თავის საქმეზედ მიეშურება, ჭიანჭველიდგან დაწყებული ადამიანამდის. აგერ ჩვენი იაკობის სახლის კარებმაც მოიღო ჭრიალი და იქიდგან გამოვიდა ძონძებში გახვეული იაკობი, გამოიყვანა ბაკიდგან ხარები შეაბა ურემში და გაუდგა გზას. მაიამაც ცეცხლი დაანთო და საოჯახო ფაცი-ფუცს მიეცა.

— საით მიდიხარ, იაკობ?—ჰკითხა გზაში ერთმა მეზობელმა, რომელიც იქვე მახლობელ ორღობედგან გამოვიდა.

— ყანაში მივალ ჩემო გიორგი,

ბ-ნნი ცესიდიო პროპოსტო და გ. ა. შინგელი. ამ ინჟინერებს აზრადა აქვთ ადგილობრივ დაათვალიერონ ცხენის რკინის გზის ლიანდაგი, შეადგინონ დაწვრილებით ანგარიში იმისი, თუ რა დაჯდება ელექტრონის გზის გამართვა და მოურიგდნენ ქალაქის თვით-მართველობას.

*** ოთხშაბათს, 12 აგვისტოს, კრება ჰქონდათ იმათ, რომელთაც საავგარაკოდ ლისის ტბასთან მიწები უყიდნიათ გ. ს. ისტამანოვისაგან. ბ-ნ ისტამანოვს თავისი მიწა დაუყვია 360 ნაჭრად. თითო ნაჭერი, რომელშიაც 480 ოთხ-კუთხი საჟენია თურმე, რვა თუმნად გაუყიდნია. მყიდველებს დაჰპირებია საზოგადო გზებისა, პატარა ტბის გარშემო ქალის გამართვას და ამასთანავე ნება მიუცია საზოგადო ჭებით სარგებლობისა. ამ პირობით უყიდნიათ იმათ მიწები, მაგრამ ბ-ნ ისტამანოვს ნასყიდობის სიგელში არ მოუხსენებია, რომ თითონა კისრულობს ჭების ამოთხრას. ეს გარემოება აქამდის არავის არ შეუმჩნევია. ეხლა-კი აღმოჩნდა, რომ იმ ალაგას სასმელი წყალი არა ყოფილა, ბ-ნ ისტამანოვს მოუხნავს მიწა და ამ გვარად შეუკრავს გზა და, ამას გარდა, იგი თურმე დიდ ტბიდგან წყალს იღებს თავისის წისქვილისთვის, რის გამოც ლისის ტბა შრება, მისი ნაპირები ყარს და კოღოებისა და ციებისაგან აქ ცხოვრება შეუძლებელია. კრებამ ამოირჩია კომისია ექვსის კაცისა და დაავალა: შაბათს, 15 აგვისტოს, დილის 8 საათზედ, დაათვალიეროს ეს ალაგი და ოქმი შეადგინოს იმის შესახებ, თუ რა პირობა არ აუსრულებია ბ-ნს ისტამანოვს, შემდეგ ნატარიუსით მოსთხოვოს ამ პირობათა ასრულება. ამის გარდა, კომისიამ უნდა წამოიღოს ქიმიურ ანალიზისათვის ჭის წყალი, ისტამანოვს აუკრძალოს ტბიდგან წყლის აღება წისქვილისთვის. და რაც შეეხება სასმელ წყლის გაყვანას, კრებამ დაადგინა შეიკრიბნენ და თავიანთის ხარჯით წყალი გაიყვანონ სოფ. ლისიდგან, თუ ეს შესაძლო იქნება. აგრეთვე შეადგინონ ხარჯთ-აღრიცხვა, თუ რა დაუჯდება ტბის ნაპირის ლელიანის ძირიან-ფესვიანად ამოგდება და თვით ტბის ნაპირების გასუფთავება.

*** 9 სეკტემბერს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის დროებითი განყოფილება ქ. გორში განიხილავს გორის მაზრის დ. სურამის მცხოვრებელის ქალის რახიელ ჯინჯიხაშვილის საქმეს, რომელსაც ისა ჰბრალდება, რომ 1897 წ. 6 სეკტემბერს საჯაროდ ქუჩაში გაუნათლებლობისა და შეუსმენლობისა გამო ღვთის საგმობელი სიტყვები წარმოსთქვაო. ეს საქმე განხილულ იქმნება ხალხის დაუსწრებლად.

*** იმავე დღეს და იმავ სასამართლოში გაირჩევა საქმე ამიერ-კავკასიის რკინის გზის კონდუქტორის ისიდორ ასათიანისა, რომელსაც ის ბრალი ედება, რომ 1897 წელს 1 ივლისს სადგ. ხაშურში, სიმონ დევდარიანთან ქეიფის დროს, რევოლვერი ამოიღო, ჭერში სროლა დააპირა, მაგრამ დევდარიანს-კი მოარტყა თვალში. დევდარიანი ამ ჭრილობისაგან იქავე გარდაიცვალა.

*** გორის მაზრის სოფ. ახალქალაქში კნიაჟნა ნ. ლ. თარხან-მოურავის თაოსნობით მომავალ სამოსწავლო წლიდგან არსდება საკვირაო სასწავლებელი.

*** ამას წინად საგუბერნიო საქალაქო საქმეთა საკრებულომ დაადგინა, რომ კოჯორის აღმართის შეკეთება და მოვლა-პატრონობა ქალაქის გამგეობამ უნდა იკისროსო, რადგანაც იგი ქალაქის საზღვარშიაო. ამ დადგენილებისა გამო ქალაქის გამგეობამ საჩივარი შეიტანა უმართებულესს სენატში. სენატს იმ მხრივ შეუხედნია ამ საქმისათვის, რომ კოჯორის აღმართის მოვლა-პატრონობა ქალაქის ვალდებულობაა იმ დრომდე, ვიდრე გზათა სამინისტროს უწყება გზა-ტკეცილს გაიყვანს, ხოლო თუ გზა ტკეცილი გაყვანილია და თუ ეს აღმართი ტფილისისა და მანგლისის გზა-ტკეცილის ნაწილს შეადგენს, მაშინ გზათა სამინისტროს უწყება ვალდებულია ამ გზას უპატრონოსო. ამის გამო გზათა მინისტრი კავკასიის გზების ოლქის უფროსს შეეკითხა, კოჯრის აღმართის გარშემო მიწები ქალაქს ეკუთვნის თუ კერძო კაცთაო. და აღმოჩნდა, რომ ქალაქს იქ სრულიად არა ჰქონია ადგილ-მამული და ამ აღმართის გარშემო ადგილები სახელმწიფო ყოფილა, ორის ნაჭერის გარდა, რომელიც ზახარბეგოვსა და ლალაევს ეკუთვნის.

*** გაზ. „Каспій“ სწერს, რომ ბალახანაში მცხოვრები რამდენიმე ქართველი აარსებს იაფ ფასიან სამკითხველოს ნავთის ქარხნებში მომუშავეთათვისაო.

*** გაზ. „კავკას“-ს სწერენ დაბა ყვირილიდგან, რომ 2 აგვისტოს აქ აკურთხეს საზოგადო სამკითხველო-წიგნთ-საცავიო.

*** სოფ. ფხოველი, (სიღნაღის მაზრა). თავ. ანდრონიკაშვილების წინამხარისა და უკანამხრის ტყეებში შეკრულ იქმნა და დღეიდან ნება არავის მიეცემა ხე-ტყე ჰზიდოს ამ ტყეებიდგან. წინამხრის სოფლები: ზიარი, ფხოველი, მელაანი და სხვანი და უკანამხრისა—გურჯაანი, ვეჯინი და სხვა ოდესღაც განთქმულნი იყვნენ საუცხოვო ტყეებით, მაგრამ უწყალოდ ჩეხვისა გამო ამ ჟამად პატარ-პატარა ბუჩქებიღა სდგას. ამ გარემოებამ გამოაფხიზლა თავ. ანდრონიკაშვილები, [illegible] ნელეს-რა კანონით, შეჰკრეს თავიანთი ტყეები. მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ. საქმე ის გახლავთ, რომ როგორ-ღა უნდა დააკმაყოფილონ თავ. ანდრონიკაშვილებმა ის გლეხები, რომელთაგანაც უკვე ფული აქვთ აღებული და ნება მიცემული ტყით სარგებლობისა. მთლად წინამხრისა და უკანამხრის მცხოვრებლები შეფიქრიანდნენ,—რა გვეშველება უტყეობითაო. კარგი იქმნება, რომელიმე ნაჭერი მაინც არის გადასდონ და ნება მისცენ გლეხებს ამ ნაწილიდგან სარგებლობისა, როგორც ყველგან არის მიღებული, თორემ გლეხობა დიდს გაჭირვებაში ჩავარდება („ახ. მიმ.“).

*** ახალ სენაკი. 31 ივლისს, ნაშუადღევის მესამე საათზედ, საშინელი მიწის ძვრა მოხდა. სახლებმა ქანაობა დაიწყო. ხალხი ღრმა ძილში იყო და სახლების ჭრიალით გაიგეს, რაც მოხდა. ზოგიერთი ისე დარეტიანდა, რომ არ იცოდა რა ექნა. ხალხი მშვიდობით გადარჩა და არავითარი უბედურება არა მომხდარა-რა...

6 აგვისტოს მდ. ტეხურში დაირჩო ღედის ერთად-ერთი შვილი, 11—12 წლის ვაჟი, რომელიც აქაურს სამოქალაქო სასწავლებელში სწავლობდა. სასურველია, რომ აღუკრძალავდნენ ბავშვებს მარტოდ-მარტო ბანაობას, თორემ თუ ასე თავისუფლად ატარეს ბავშვები, კიდევ მოსალოდნელია ამ გვარი უბედურება.

მეპურეებმა პური გაგვიძვირეს. თუმცა ნიხრი აქვთ დაწესებული, მაგრამ ნიხრით არც ერთი არა ჰყიდის პურს. ამიტომ კარგი იქნება ადგილობრივმა პოლიციამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს იმათს თავ-ხედს მოქმედებას და ოდნავ მაინც აჰლაგმონ..

*** 11 აგვისტოს სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის მოხელეთ ყასაბ იოსებ ბარხუდაროვის დუქანში ნახეს ორი დაკლული ხბო, რომელთაც ყალბი ბეჭედი ჰქონდათ დასმული, და ოქმი შეუდგნეს.

*** სავაჭრო პოლიციის მოხელეთა ფარდულებში ქალაქის გამგეობის განკარგულებით გამოკიდებულ იქმნა ყუთები, სადაც უკმაყოფილო მყიდველს შეუძლიან ჩააგდოს საჩივარი ამა თუ იმ ვაჭრის უკანონო საქციელის შესახებ.

*** გაზ. „კავკას“-ს სწერენ, რომ ამ დღეებში სიღნაღის მაზრის მწარე-წყალში კატაანის მცხოვრებელს გიო ქინაშვილსა და ჩაილურის ერთს მცხოვრებელს ჩხუბი მოსვლიათ, რომლის დროსაც ქინაშვილმა ჯოხით მოჰკლა ჩაილურელიო.

## ქვაბთახევის მონასტერი.

აგერ მიიწურა მარიამობისთვის ორის კვირის მარხვა და მოახლოვდა ყოვლად წმ. მარიამის მიძინების ქვაბთა-ხევის მონასტრის დღეობაც. ქვაბთახევის მონასტერი მოთავსებულია სოფ. კავთისხევზედ [illegible] ვერსით. ქვაბთახევის მონასტერი აგებულია ერთს პატარა ტაფობში, რომელსაც ოთხისავე კუთხივ ჰფარავს დიდრონი ტყეებით შემოსილი მთები. ეს ტყეები თვით ამავე მონასტრის საკუთრებას შეადგენს, დღემდის დაცულია და არ არის გაჩეხილი. აქ შეხვდებით იმისთანა უზარმაზარს წიფლისა, მუხისა და რცხილის ხეებს, რომ გუთნის დევიც ძლივს შემოსწვდება. ეს ტაძარი აგებულია თავ. ივ. თარხნიშვილისაგან და შემდეგ გამშვენიერებული ნეტარ-ხსენებულის არხიმანდრიტის ტარასისაგან, რომელსაც დიდი ღვაწლი და ამაგი მიუძღვის ამ მონასტრის წინაშე. მანვე, გარდა მონასტრის გამშვენიერებისა, აქ ააგო დიდძალი შენობები მლოცველებისათვის. აქვე მონასტრის მოედანზედ გადმოჩუხჩუხებს წმინდა, ანკარა და ცივი წყარო, რომლის სმითაც მლოცველნი სიამოვნებენ. მონასტრის გარეშემო ტყეები მონასტერსავე ეკუთვნის, რომლის რაოდენობა 800 დესეტინას აღემატება. აქ არის დასახლებული რამდენიმე სოფელი, რომლებშიაც მთიულები სცხოვრობენ და საიჯარადო გარდასახადს მონასტერს აძლევენ. რაოდენობა გარდასახადისა სამოც თუმნამდის ადის, მაგრამ რასაც ეს მთიულები ამ ბუნებითი შემკულს ტყეს აზარალებენ, იმდენი სარგებლობა არ მოაქვთ მონასტრისთვის. თუმცა აქ სასტიკად არის დაცული ტყის დარაჯობა, მაგრამ ისინი ღამ ღამე ფარულად სჩეხავენ ტყეს და ბარად ეზიდებიან.

---

უნდა ვნახო, ყვავებს ხომ არ უჭამია ჩემი წრევანდელი ნაშრომი,—მიუგო ნაღვლიანად იაკობმა.

მიდის იაკობი და თან მიღიღინებს, იმისს დაღვრემილს სახეზედ რაღაც სევდა და ვაება იხატება. მისი ფიქრები შორს მიჰქრის, ჰფიქრობს, რავქნა, როგორ ვიცხოვროთ?... ჩემი სიცოცხლე სწორედ შეუძლებელია. წუხელის ვახშმად ფქვილი არა გვქონდა და ბავშვები მშიერი დაეყარნენ, დღეს-კი არ ვიცი, რას იქმონენ...

ამ ფიქრებით გატაცებული იაკობი მიუახლოვდა თავისს ყანას, ურემი იქვე მახლობლად დააყენა, ხარები ბალახში გააბა, თითონ-კი შემოუარა ყანას, აათვალ-ჩაათვალიერა და ერთი მწარედ ამოიხვნეშა. მერე შეუდგა სიმინდის ძირიანად მოჭრას, მოსჭრა რამდენიმე იდლია და დააყარა ურემზედ, შეაბა ხარები და შინისკენ გაუდგა გზას. აი, დააყენა ურემი სახლის წინ, შეიხედა სახლში და ვერავინ დაინახა. წიწილების წრიაპისაგან ყურთა სმენა აღარ იყო. იაკობმა იმათ ცოტა რამ საკენკი დაუყარა, შემდეგ გამობრუნდა და ურმიდგან ხარები გამოუშვა. ამდროს ჭისკრიდან ის იყო მისი ცოლ შვილი შემოვიდა.

— სად იყავი, დედა კაცო?—ჰკითხა იაკობმა თავისს ცოლს.

— ნათლიასთან ვიყავი, ბავშვებმა სიმშილისაგან ტირილი მორთეს და იქ წავიყვანე.

— ხომ კარგათ არიან?

— იმისთანა შენს მტერს, ისინი რომ არიან!.. ილოს რაღაც თვალის ტკივილი გასჩენია და მორჩენის იმედი აღარა აქვთ; ისე გაჭირვებული არის, მთელი თავ-პირი დასიებია და სწორედ საშიში სანახავია.

ამ სიტყვების გაგონებისათანავე იაკობი დიდად დაღონდა და იქვე საძირკველზედ ჩამოჯდა. კარგა ხნის შემდეგ მოვიდა იაკობი გონებაზედ და ცოლს წასჩურჩულა: „ჩქარა ქვაბი შედგი ცეცხლზედ და სიმინდი მოვხარშოთო.“ მაიამაც აღასრულა ქმრის ბრძანება და სიმინდი ცეცხლზედ შედგა.

— მოიხარშა სიმინდი? შესძახა რამდენიმე ხნის შემდეგ იაკობმა მაიას სახლში.

— მზათაა, მოდი.

იაკობიც შევიდა, მოუჯდა იქვე თაბახზედ დალაგებულს ცხელ ცხელ სიმინდს და ხარბად დაუწყო ჭამა. დააკმაყოფილა რა იაკობმა მუცელი, წამოდგა ზეზედ და საჩქაროდ გასწია თავის ნათლიის სანახავად.

ნათლია ილო მართლაც ძლიერ ავად იყო და მისი გადარჩენა არავის ეგონა. რამდენიმე დღე დასტრიალებდა თავს იაკობი თავის ცოლ-შვილით და ილოს ცოლ-შვის ანუგეშებდა.

არ გასულა მას შემდეგ ერთი თვე, რომ იაკობს ცოლი ყელ-ჭირვებით გაუხდა ავად. საბრალო იაკობმა არ იცოდა რა ექმნა, როგორ მოევლო თავისის ცოლის და წვრილ-შვილებისთვის, რომელნიც დედას არა ჰშორდებოდნენ. ილო და მისი ოჯახობა ხომ ვერ მიჰხედავდა, რადგან იმათ თავიანთი გაჭირვება ეყოფოდათ და აბა იაკობი ვისგნით მოელოდა შველას, როდესაც თავისი, ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში გაყრილი ძმები და ძმისწულები ხმას არა სცემდნენ და იმისს გაჭირვებას ყურსაც არ უგდებდნენ.

დარჩა უნუგეშოდ ჩვენი იაკობი, მისი ცოლი უკანასკნელს დღეში ჩავარდა და მოუვლელობისა და შიმშილისაგან სული ამოხდა. გამწარებულმა იაკობმა არ იცოდა რა ექნა, ვისთვის შეეტყობინებინა თავისი გაჭირვება, მაგრამ გარეთ გამოსვლის აჯა აღარა ჰქონდა, რადგან ყელ ჭირვებამ მეტის-მეტად შეაწუხა.

ძლივს-ძლიობით მიფოფხდა იაკობი თავისის ცოლის გვამთან, დააყარა ზევიდგან რაღაც ფალასები და ამითი დაჰფარა ცოლის გვამი, რომ ოთხ-ფეხს არ დაესახიჩრებინა, მერმე აიყვანა თავისი პატარა ცოცხალმკვდარი ქალი, რომელიც დედასთან იყო, და იქვე გაშლილ ქეჩაზედ დაეგდო.

### IV

ხუთშაბათი დილაა. ილოს მწყემსმა საქონელი გარეკა საძოვრად და იქიდგან რომ დაბრუნდა, იაკობისას გამოიარა. ჭისკრიდგან ბევრი იძახა, მაგრამ ხმა არავინ გასცა. მწყემსი მეტად განცვიფრდა, იფიქრა, კარები ღიაა, წიწილების წრიპინი გულს აზარებს და აქ უთუოდ რაღაც ამბავი უნდა იყოსო. ადგა და ეზოში შევიდა. მიუახლოვდა თუ არა სახლის კარებს, დაინახა, რომ იაკობის ხუთის წლის ვაჟი საძირკველზედ ჩამოწოლილა და იქვე გაფიჩხებულა. შეიხედა სახლში და საზარელი სურათი დაინახა. გულ-შეწუხებული ბიჭი უკანვე გამობრუნდა სირბილით და ილოს შეატყობინა. ილო ამ საზარელმა ამბავმა უარესს ყოფაში ჩააგდო, ილოს ცოლმა-კი გაჰგზავნა ბიჭი და სოფლის მამასახლისს შეატყობინა, რომელიც თავისის მოხელეებით მოვიდა. ერთის საათის შემდეგ ბოქაული და მაზრის ექიმიც მობრძანდნენ. მაგრამ რა ჰნახეს: იაკობის ცოლის გვამი იაკობისვე ხელით ფალასებში გახვეული იდო, იაკობი ეგდო მიწაზედ და იმდენი ეცემა ხელ-ფეხი მიწისათვის, რომ სულ დასისხლიანებული ჰქონდა. იაკობის გვამის მახლობლად ეგდო იმისისავე პატარა ქალის გვამი. კარების შესავალთან კიდევ საძირკველზედ ჩამოსძინებოდა იაკობის ხუთის წლის ვაჟს და იქვე მომკვდარიყო.

ამ საზარელ სურათის დანახვამ ყველას სახე შეუჭმუხვნა. იაკობის ძმებმა მოუყარეს ერთად თავი მიცვალებულთა გვამს, მაზრის ექიმის ბრძანებითა და შემოწმებით, ჩაჰყარეს ერთს დიდს ყუთში და ურმით წაასვენეს სასაფლაოზედ, სადაც ოთხნივ ერთად დაჰკრძალეს.

ორმოცი დღე არც კი იყო გასული, რომ იაკობის საკუთრებ ლი იმისმა ძმებმა გაინაწილეს, იმ ძმებმა, რომელთაც გაჭირვების დროს არავითარი შემწეობა არ აღმოუჩინეს და მთელის ოთხის დღის განმავლობაში ლუკმა-პურიც-კი არ მიაწოდეს. ტანჯულ იაკობის სამარეზედ საბრალო ქვაც-კი არ დაუდვიათ.

ალიკო

მონასტერში არხიმანდრიტად ბრძანდებოდა მ. კირიონი. არხიმანდრიტის გარდა არიან ბერები: მღვდელმონაზონი ათანასე, კაცი მხნე და პატიოსანი, მოხუცებული ბერი გენათი და რამოდენიმე სამონასტრო მოსამსახურე. მონასტერს, საიჯარადო ფულის შემოსავლის გარდა, სოფ. კავთისხევშიაც აქვს სახლი, კარგა მოზრდილი მზვარი და სახნავ-სათესი მამულები, რომლებიდგანაც გვარიანი შემოსავალი აქვს ჰირნახულისა და ღვინისა. ამისდა მიუხედავად შიგ მონასტერშიაც ჰყავთ საკუთარი ძროხა, მუშა ხარი, ცხენები და სხვა წვრილფეხი ცხოველები. ისე რომ ზედმიწევნით შეგვიძლიან ალვიაროთ, რომ მონასტერს თავისთვის საშუალო შეძლება აქვს, თუ მხედველობაში ვიქონიეთ ის გარემოებაც, რომ მლოცველები ხშირად დადიან და იმათგანაც აქვს შესავალი საკლავითა და ფულით.

თხუთმეტს მარიამობას მონასტერში მიკიტნები იჯარით იღებენ ადგილებს, სადაც სასმელებსა და ხორაგეულობასა ჰყიდიან მლოცველებზე. მონასტერს აძლევენ ექვს-შვიდ თუმანს ადგილის ქირას. მლოცველები მიდიან ურმებით, ცხენებითა და ფეხით, უთევენ ღამეებს და ატარებენ დროებას. მშვენიერს სურათს წარმოადგენს მლოცველთა ღამის თევა: ამ მშვენიერს ღამის წყვდიადში გაისმის დიდრონ ხეების ძირში სიმღერის ხმა და მთელი უსიერი ტყე ბანს აძლევს ერთი ხეობიდგან მეორეში. ზოგი მლოცველთაგანი სად გადაშხლართულა მთვრალი ხის ძირში და ჰხვრინავს, ზოგსაც ურმის კოფოზედ მიუდვია თავი და რაღასაც გაურკვევლად ჰლუღლუღებს. დედაკაცები დასდგომიან თავზედ, აღვიძებენ, მაგრამ გონებაში ვერ ჩაუგდიათ. ზოგ ადგილას მოისმის დუდუკის ტკბილი ხმა და შექეიფიანებულ ყმაწვილების ცეკვა.

წირვის შემდეგ აქ ჰიდაობა იმართება და დიდძალს ხალხსაც აჰიდავებენ ხოლმე. საერთოდ ამ მონასტრის დღეობა უჩხუბრად და უხიფათოდ ჩაივლის ხოლმე, მეორე-მესამე დღეს ერი იშლება. ხალხი ზარმაცად მიდის თავ თავისს სახლებში.

ივ. კავთელი

---

## წერილი ქვემო იმერეთიდგან

ქვემო ანუ ვაკე იმერეთი მაის-ივნისში დიდს სიხარულს იყო მიცემული. ეს სიხარული გამოიწვია აბრეშუმის კარგმა მოსავალმა. „ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის“ მმართველმა ბ-ნმა ნ. წერეთელმა რიგიანად საქმის წარმოებითა და ცოდნით აქაურებს დაგვანახვა მოვლა-მოყვანა აბრეშუმის ჰიისა. გამოიწერა და იწერს საფრანგეთის სავაჭრო სახლებისაგან უუმჯობესს აბრეშუმის თესლს, ურიგებს ამხანაგობის წევრებს კოლოფებით და ისინი სოფლებში ჰყიდიან. ამ ხუთი-ექვსის წლის ძლიერ კარგმა მოსავალმა ქვემო-იმერლებს მეტად შეაყვარა ეს დარგი მეურნეობისა და ამიტომ იყო, რომ წელს თითქმის ერთი მოსახლეც არ დამდგარა უთესლოდ, ზოგმა ორი-სამი კოლოფი იყიდა და ბევრმა მეტიც. შეუდგნენ მოვლასა და ისე იხეირა ყველგან, რომ ერთის კოლოფის თესლიც არ გაცუდებულა. ასეთმა დიდმა პარკის მოსავალმა საკმაო ფული დაატრიალა აქ, რადგან ამხანაგობა ფუთს პარკს 14—15 მანათად ჰყიდულობდა. ხუთი თუმანი, ექვსი, შვიდი და მეტიც აიღო ბევრმა ოჯახმა და წელში გაიმართა, რადგან ამდენი ერთიანი ფული, სიმინდის ფასის დაკლების შემდეგ, არ ჰლირსებიათ ეს ათი წელიწადია. ბევრს ჩარჩ-ბაცაცს აბრეშუმის დიდმა მოსავალმა მადა გაუხსნა ამ ნაშრომნაღვაწის იაფად ხელში ჩაგდებისა და დაიწყეს სიარული სოფლიდგან სოფლად, მაგრამ რადგან ამხანაგობა იმათზედ მეტს ფასს აძლევდა, ყველამ ამხანაგობას მიჰყიდა და ისინი ხახა დაღებულნი დარჩნენ. ერთმა ამხანაგობის წინაალმდეგ ს. ოფიშკვეთში პარკის სარჩობიც გახსნა, მაგრამ ამხანაგობა თუ მარჯვედ იქნება, ამნაირივე სარჩობი შეუძლიან გახსნას ს. საყულიაში და მით წინაალმდეგობა გაუწიოს იმას და სოფლის ნაშრომი მუქთად არ ჩააგდებინოს ხელში. სწორედ დიდის მადლობისა და ქების ღირსია ამხანაგობა, რომ ეს დარგი მეურნეობისა შეაყვარა ხალხს და ხელი მოაკიდებინა ყველას, წოდების განურჩევლად, და ცოტად თუ ბევრად ეკონომიურად წინ წასწია ისინი. ამის შემდეგ ქვემო-იმერელი სიმინდის ფასის დაკლებას სწორედ არაფრად ჩააგდებს.

მეაბრეშუმეობის გარდა აქაურებმა ეს რამდენიმე წელიწადია ხელი მიჰყვეს მებოსტნეობას: სთესავენ კომბოსტოსა და კარტოფილს, რაც კარგად ჰხეირობს და ფასიც ჩინებული აქვს. მხოლოდ ესაა, რომ კარგი ჯიშის თესლის შოვნა უჭირთ, რადგან არ იციან ვის მიჰმართონ. თუმცა ქუთაისის სამეურნეო განყოფილებას თავისს კომისიონერ ბ-ნ გორაჩეკთან თესლეულობის დეპო აქვს, მაგრამ კერძო ოჯახში მუშა კაცი ისე თამამად ვერ შევა. კარგი იქნება, თესლეულობის დეპო ცალკე ბაზარ ალაგას იყოს.

ასეა თუ ისე, ქვემო იმერეთი ამ მეურნეობის დარგთა წყალობით ეკონომიურად წინ მიდის, თუმცა სწავლა-განათლებას-კი ნაკლებად მისდევენ მკვიდრნი. აარსებენ ერთ-კლასიან საეკკლესიო-სამრევლო და საერო სკოლებს, მაგრამ ხშირად მასწავლებლებთა დაუდევრობით და უმეცარობით უქმდება სასწავლებლები და ხალხი გულს იცრუებს სწავლა-განათლებაზედ. მთელს ქვემო-იმერეთში ერთი დაბალი სამეურნეო სასწავლებელი არაა, თუმცა მისი საჭიროება-კი ძლიერია. ამისთვის ყოველი შესმენილი და სოფლის გულის შემატკივარი კაცი ვალდებულია ამის შესახებ ხმა ამოიღოს, რათა იქნება მთავრობამ შეისმინოს ჩვენი ვედრება და ერთი სამეურნეო დაბალი სასწავლებელი დაგვიარსოს სადმე. ჩემის აზრით, ს. საყულია სამეურნეო სკოლისათვის კარგი ალაგი იქნება, რადგან იგი ვაკე-იმერეთს და საჩინოს შუა მდებარეობს და ყველასათვის მარჯვეთ მისასვლელ მოსასვლელია. ამას გარდა, ადგილს და შენობისთვის მასალას აქ მუქთად ვიშოვნით.

სწავლა-განათლების გარდა გვაკლია ექიმი, რის გამოც მეტად გასჭირდა საქმე. ქუთაისიდგან ექიმის მოყვანა ოც-და ხუთი მანათი ჯდება ან ავადმყოფი უნდა გავწიროთ და ან ამდენი გარიდ ვიხადოთ. არიან-კი ისეთი საზოგადოებანი, —რომლებსაც ადვილად შეუძლიანთ თავისის ხარჯით, ექიმი თუ არა, ფერშალი მაინც დაიყენონ და ამითი თავისი თავიც ააცდინონ ზედ მეტს ხარჯს და ავადმყოფებსაც დროზედ უშველონ.

ს. ჯინჭველაშვილი

---

## რუსეთი

—

პეტერბურგის გზათა საინჟენერო ინსტიტუტში სამეტოქეო ეგზამენი დაიწყო 10 აგვისტოს, ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში დაიწყება 17 აგვისტოს, სამთო ინსტიტუტში—25, სამოქალაქო ინჟენერთა ინსტიტუტში—15, საისტორიო-საფილოლოგიო ინსტიტუტში—15 აგვისტოს შემდეგ, კონსერვატორიაში—25 აგვისტოს და უმაღლესს სამხატვრო სასწავლებელში—15 სექტემბერს.

— განზრახვა აქვთ მომავალ შემოდგომას რუსეთში დამზადებულ სამუსიკო იარაღების გამოფენა გამართონ ქ. პეტერბურგში.

— საპატიმროების მთავარ-სამმართველომ განმარტა, რომ საპატიმროების კომიტეტების დირექტორებად შეიძლება არჩეულ იქმნან ყველანი წოდების განურჩევლად და თუმცა ისინი საპატიმროების უწყების მოხელეებად არ ითვლებიან, მაგრამ ხანგრძლივისა და ნაყოფიერ შრომისათვის დასაჯილდოებლად შეიძლება შუამდგომლობა იქმნას აღძრული კომიტეტების თავმჯდომარეთა მიერ.

— გზათა სამინისტრომ ბრძანება დაუგზავნა ყველა რკინის გზის გამგეობას, რომ დაავალეთ მემანქანეთ დაწვრილებით შეისწავლონ ორთქლმავალის ყოველივე ნაწილის დანიშნულება და ის, თუ რა დროს უნდა იქმნას ხმარებული, ესა თუ ის ნაწილი. ამ აზრით წინადადება მიეცათ რკინის გზების უფროსთ, რომ გამოსცადეთ ხოლმე მემანქანენი.

---

## უცხოეთი

—

**ჩინეთი.** გუშინ გწერდით, რომ ინგლისის გაზეთები მალიან უკმაყოფილონი არიან რუსეთის პოლიტიკით ჩინეთში. ბევრი გაზეთი იმასაც-კი გაიძახის, რომ ჩინეთის გამო რუსეთსა და ინგლისს შორის ომი აუცილებელია. აი, სხვათა შორის, რასა სწერს ინგლისური გაზეთი „Globe“: „იმ დღიდგან, რა დღესაც ინგლისმა ნაპოლეონი დაამხო და იმის მტარვალობისაგან განათავისუფლა ევროპა, ჭეშმარიტებისა და თავისუფლების შელახვა ისე არსაის მოუწადინია, როგორც ეხლა ჩინეთში მოიწადინეს. ეხლა ყველასათვის აშკარა გახდა, რომ რუსეთი სცდილობს ხელ-მძღვანელობა გაუწიოს ჩინეთის პოლიტიკასა და ვაჭრობას ინგლისისა და საზოგადოდ ევროპის სახელმწიფოთა საზარალოდ. თუ, როგორც ვფიქრობთ, საფრანგეთმა ჩუმად შემწეობა აღუთქვა რუსეთს ჩინეთის საქმეში, მაშინ ჩვენ კარგად ვიცით, როგორც უნდა მოვიქცეთ. დღეს არა სხვა ხომ მოგვიხდება რუსეთთან ბრძოლა, ამიტომ რაც ადრე დაიწყება ეს ბრძოლა, მით ჩვენთვის უკეთესი და სასარგებლო იქმნება. ორის ან სამის წლის შემდეგ რუსეთი იმდენად გამაგრდება ჩინეთში, რომ იმისი ჯნება ან დამარცხება შეუძლებელი გახდება. შესაძლებელია, რომ კიდეც დადგა ის დრო, როდესაც ჩვენმა ხალხმა თავი უნდა გამოიდოს. შეიძლება მოგვიხდეს ვაჭრობისა და პოლიტიკური თავისუფლების დაცვა და ქვეყნის განთავისუფლება იმ პოლიტიკისაგან, რომელიც სამარცხვინო და საზარალოა ყველასათვის. ჩვენ შეგვიძლიან მხოლოდ ვსთქვათ, რომ ერი ასეთის დიდის საქმისათვის არასოდეს დაზოგავს, თუ-კი დარწმუნდება, რომ მთავრობა უშიშრად და გონიერად იქცევა.“

— ინგლისთან ერთად ჩინეთის საქმეებს დიდის გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებს შეერთებული შტატებიც. იქაური გაზეთი „New-York-Times“-ი სწერს: „ჩვენ დიდი ინტერესი გვაქვს განსაკუთრებულ იმ ნავთ-სადგურში, რომელსაც რუსეთი რუსულ ნავთ-სადგურად გადაკეთებას უპირებს. ჩვენა და ინგლისელები ერთნაირად ვართ დაინტერესებულნი ჩინეთის საქმეში. ამიტომ ნება-უნებურად მხარი უნდა დაუჭიროთ მას.“ „World.“-ი ამბობს: „რუსეთმა წინ გაიწია. ხალხი მოუთმენლად მოელის, როდის ამოიღებს ინგლისი ხმას და როდის გაიშვერს თავის მარჯვენას“.

— გაზ. „DailyNews“-ის კორესპონდენტს ლაპარაკი ჰქონია ჩინეთის საქმეების შესახებ ერთს საფრანგეთის დიპლომატთან, რომელსაც უწინ ჩინეთში უმსახურნია და ამ ქვეყნის ავი და კარგი დაახლოვებით სცოდნია. ამ დიპლომატს უთქვამს: „იმ უთანხმოებას, რომელიც ჩინეთის საქმეებისა გამო, რუსეთსა და ინგლისს შორის ჩამოვარდა, თვით ამავე სახელმწიფოებმა, სხვათ დაუხმარებლივ, უნდა მოუღონ ბოლო. წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებელია ბრძოლა, რომელიც დიდს ზარალსა და ვნებას მოუტანს მთელ განათლებულ ქვეყანას. ასეთის ბრძოლის დროს, უთქვამს შემდეგ დიპლომატს, უფრო ძლიერი ინგლისი აღმოჩნდება, რადგანაც იმის გასაოცარ ფლოტს შეუძლიან მოწინააღმდეგების ფლოტები გაანადგუროს და მიწასთან გაასწოროს. საფრანგეთი მალიან იზარალებს ამ ომისაგან. იგი მოწყვეტილი იქნება თავის ახალშენებისაგან. ამ ომის დროს ინგლისს ჯარი სრულებით არ დასჭირდება. მარტო ფლოტიც საკმარისი იქმნება; აუარებელის სიმდიდრის წყალობით ინგლისს შეუძლიან ბრძოლა დიდხანს განაგრძოს და, გარდა ამისა, ოქროთი ამბოხება გამოიწვიოს ჩინეთსა, მცირე აზიასა, მაროკოსა და ალჟირში“.

—

**ფილიპის კუნძულები.** გაზეთებმა ეხლა მოიტანეს დაწვრილებითი ამბავი ამერიკის მიერ ქალაქ მანილის დაპყრობის შესახებ. დღევის რამდენ ჯერმე შეუთვლია გენერალ ავგუსტისათვის ქალაქი უბრძოლველად დამამორჩილეთო, მაგრამ ამ უკანასკნელს უარი განუცხადებია. რის გამო ამერიკელებს ყუმბარები დაუშენიათ ქალაქისათვის. შემდეგ ამერიკელებს იერიში მიუტანიათ და მოწინააღმდეგის ჯარი სიმაგრეებიდგან გაურეკიათ. ბრძოლა ორი საათი გაგრძელებულა. ამერიკელები 10,000 კაცი ყოფილან, ხოლო ესპანელები—3000 კაცი. როდესაც ამერიკის მოწინავე რაზმი ქალაქში შევარდნილა, ავგუსტის ჯარის უფროსობა მანილის გუბერნატორის გენერალ ჟოდენესისთვის გადაუცია, თითონ გამოპარულა, გემში ჩამჯდარა და გონგ-კონგში წასულა. იმის გაქცევის შემდეგ ქალაქი დაჰმორჩილებია ამერიკელებს. გაზეთების სიტყვით, ავგუსტი იმიტომ გაპარა, რომ არ უნდოდა ქალაქის გადაცემას დასწრებოდა. ავგუსტი მთელის ფილიპეს კუნძულების გენერალ-გუბერნატორად ითვლება, ასე რომ იმას უველა ეს კუნძულები უნდა გადაეცა ამერიკელებისათვისაო; გენერალ ჟოდენესსკი, როგორც მანილის გუბერნატორს, მხოლოდ ამ ქალაქის გადაცემა შეეძლოო.

—

**კუნძული კუბა.** ჰავანიდგან იუწყებიან, რომ მარშალმა ბლანკომ მთავრობას მიჰმართა და სთხოვა თანამდებობიდგან განმათავისუფლეთო. მარშალი ბლანკო დღესაც დიდი უკმაყოფილოა მთავრობისა, რომელმაც ომი არ განაგრძო და ზავი მოითხოვაო. ამბობენ, რომ კუბაში მყოფ ესპანიის ჯარის ყველა გენერლები სამსახურს თავს ანებებენო.

---

## მეფე ერეკლეს წერილები და პატრი მავრო ვენეციის სენატის წინაშე.

ისტორიულის ცნობებით ვიცით, რომ 1781 წ. მეფე ერეკლემ ევროპაში იოსებ რომის იმპერატორთან ერთი პატრი გაგზავნა, თან წერილი გაატანა და იმპერატორს დახმარებას სთხოვდა. ამავე პატრს წერილები გაატანა ვენეციის მთავრობის წინაშე და ამასთანვე პირადი თხოვნაც.

საუბედუროდ, მეფეს თხოვნა ვერ აღუსრულდა, მგზავრობის დროს პატრს შავის ზღვით მოუხდა სიარული, შავის ზღვის ღელვის მეოხებით პატრი ზღვაში დაირჩო და მთლად მისი ისტორიული ცნობები, მეფის თხოვნა და ბევრიც სხვა რამ მასალა ზღვაში დაინთქა. პატრის დაღუპვის ამბავი მეფეს დროით მოხსენდა, დიდად ეწყინა საქმის ასე უბედურად აღსრულება, მაგრამ რაღას უშველიდა, მიწერ-მოწერა და თხოვნა შემდეგ ისევ განაახლეს.

მეფის თხოვნით, 1782 წ. მეორედ გაგზავნილ იქმნა პატრი მავრო ვენეციის მთავრობის, ანუ სენატის წინაშე, სადაც იმ დროს ხშირად იკრიბებოდნენ იქაურნი დიდებულნი და სახელმწიფოს წარჩინებულნი. ჩვენ აქამდის მხოლოდ ვიცოდით, რომ 1782 წ. მეფის ბრძანებით ევროპაში გაგზავნილ იქმნა პატრი მავრო, მაგრამ ისკი არ ვიცოდით, თუ იგი რად წავიდა იქ, რა წერილები და პირადი თხოვნა წაიღო, ქართველთაგან რა ჰქონდა დავალებული ვენეციის განათლებულთა და წარჩინებულთა წინაშე საშუამდგომლოდ. დღეს ჩვენ შემთხვევით გავიცანით მეფის ერეკლეს ორი წერილი, რაც ცხადადააშკარავებს ამ გარემოების პირობებს და პატრი მავროს ევროპაში განსვლის მიზეზს. ამიტომ აქ მცირედ პატრ მავროს შესახებაც ვიტყვით რასმე.

პატრი მავრო ყოფილა ტომით უცხო, მაგრამ საქართველოში დიდხანს უცხოვრია, ქართული ენა კარგად სცოდნია, მასთანვე მწიგნობრობაც, დიდი გულშემატკივარი ყოფილა ქართველთა და თითქმის მტკიცე ბურჯი სოლომონ მსაჯულის, პატრის ნიკოლასი და ქართველთა სხვა წარჩინებულთა კაცთა, რომელთაც ქართველთა მომავალის ცხოვრების დიდი შეგნება ჰქონდათ და თითქმის ნათლად მხედველნიც იყვნენ მყობადისა. მეფე ერეკლეს კარ-

გად სცოდნია პატრის ასეთი ღირსება და ამიტომაც გაუგზავნია იგი ევროპაში.

რამდენად ყოფილა პატივცემული პატრი და მეფის წინაშე დამსახურებული, ეს სჩანს თვით აქ დაბეჭდილის წერილიდგანაც, სადაც მეფე პატრს მავროს ანდობს და ნებას აძლევს, რომ მან ილაპარაკოს იქ ქართველ მეფის სამაგიეროდ, სადაც-კი საჭიროდ დაინახავს, ითხოვოს ის, რასაც სასარგებლოდ მიიჩნევს. სამწუხაროდ, ჩვენ ამ პატრის ცხოვრების შესახებ ბევრი არა ვიცით-რა, ნამეტნავად ევროპაში წასვლის შემდეგ, ცნობები ისეა დაჩრდილული, რომ თვით ისიც კი არ ვიცით, თუ ეს მაღალის გონების მოძღვარი როდის მობრუნდა საქართველოში და ან რა პასუხი მოუტანა მეფეს. არა მგონია, რომ ამ პატრ მავროს მოგზაურობის შესახებ და 1781 წ. შავ ზღვაში დაღუპულის პატრის ცხოვრების, იმ დროის „Mision“-ში რამე ცნობები არ იყოს დაბეჭდილი. იმედია, რომ დრო და შეერთებული შრომა ბევრს რასმეს აღმოაჩენს.

ვენეციაში (იტალია) არის მთავრობის ერთი ძველი არხივი, რომლის ოთახებისა და დარბაზების რიცხვი ოთხასზე მეტი იქმნება. ამ უდიდესს შენობას სახელათ ეწოდება „archivio di stato“. დარბაზთა შორის არის ერთი დიდი, სახელდობრ, დიპლომატიური დარბაზი, ანუ დარბაზი მარგარიტა, ეხლანდელის დედოფლის სახელობაზედ. ამ დარბაზში, სხვათა შორის, გამოფენილია რამდენიმე წერილი და ცნობა მეფე ერეკლეს შესახებ. წერილები ზოგი ქართულად არის ნაწერი, ზოგი თათრულად, იტალიურად პატრის მავროსაგან ნათარგმნი. აი, წერილები, რომლებიც გადმოწერილია სიტყვა სიტყვით ქართველის კათოლიკის მხითარისტის დიონოსე კალატოზიანისაგან, ვისაც ჩვენ წრფელი მამულიშვილური მადლობა უნდა ვუძღვნათ, რომ მათ შორის უაღრესად განცხოველდეს საქართველოს ერისა და წარსულის ცხოვრების ცნობათა პატივის ცემა. ამის იმედი მით უფრო გვაქვს, რომ ეს მხითარისტი შთამომავლობით ქართველია და ქართული წერა-კითხვაც იცის. პირველი წერილი:

„განათლებულთა მაგათ დიდთა ვენეციის ქალაქსა შორის შემძლებელთა შეკრებულთა.

„მრავლის ჟამიდგან დაგვჭირდა რათამცა ევროპის თვით-მპყრობელთა, ყოვლად მაღალთა კეისართა და ყოვლათ მოწყალეთა დიდებულთა ხელმწიფეთა და მეფეთა, და უგანათლებულესთა მაღალთა შეკრებულებათვაწყინოთ თავი დ᾽ დამჭირნეცა ჩვენი მოვახსენოთ დ᾽ რათამცა ჰყონ წყალობა, მაგრამ აქამომდე მძლავრთა მტერთაგან ისმაიტელთა, და სხვათაცა წინაამდგომთაგან ვერ მივიღეთ ჟამი.

„და არა დროსა შინა ვეწიენით მოწყალესათა ღვთისათა და მივიღეთ ესდენი ბედნიერება, და აწ დროსა ამასა გაწყინეთ და განათლებული გონება თქვენი ნუ უმე შევაწუხეთ და ვითხოვ თქვენის განათლებულებისაგან, რათა ახლა ღვთისა წყალობათ აღიძრათ და რომელიც ამ პატრის მავროსაგან დაბარებული აქვნდეს წერილით თუ ზეპირათ უნაკლულოთ ჩვენად მოიხსენიოთ და რა გვარათაც ჩვენის სათხოვრის აღსრულება მოგახსენოთ, ის აღასრულოთ.

„ჩვენ თქვენს განათლებულებასთან სიშორით არაფერი სამსახური არა მიგვიძღვის რა, მაგრამ ქრისტიანობისათვის და ერთა შეწუხებულთათვის იღვაწეთ და ივახსეთ, ღვთისა თხოვილი ჩვენი აღგვისრულეთ და ესდენ უმრავლესთა შეწუხებულთა ქრისტიანეთა გული თქვენთვის მოიგევით, რათა თქვენნიცა განათლებულებისა მრავალნი საქმენი წარგიმართოსთ ღმერთმან ყოველსა შინა.

„რადგანაც აზიის ერთ კერძოდამ ევროპაში ვსახეთ შეწევნად, თქვენცა რომ წყალობა შეგიძლიანთ ჩვენ და ჩვენს ერზე თქვენიცა საკადრისი გვგონია, რომ ჩვენი თქვენთან მოხსენებული თხოვილი აღგვისრულოთ. ვეკრძალვით თქვენს განათლებულების ამდენს თავის წყენასა, ვითხოვ, რომ ეს მოხსენება თქვენს განათლებულს გონებას არ შესწყინდეს.

განათლებულებისა თქვენისა უერთგულესი მეფე ქართლ-კახეთისა და სხვათა

ერეკლე“

დაიწერა ქალაქ ტფილისს,
ოკტომბრის 18 დღესა 1782 წ.“

ამ წერილში გამოთქმული თხოვნა შემდეგს, მეორე წერილშიი კარგად გამორკვეული. ამ წერილიდგან ბევრი რამ ღირს-შესანიშნავი ცნობა გამოირკვევა ჩვენის წარსულ დროთა ქართველთა ცხოვრების შესახებ. აი ეს მეორე წერილი:

„მათ განათლებულთ დიდსა ვენეციის შეკრებულთა“.

„ქ: თუმცა ამ მოხსენებისათვის დიდათ ვმორცხვობთ და ვეკრძალვით, მაგრამ რომელიც ჩვენის ქვეყნის მწუხარება და შეჭირვება სხვას არზით მოგვიხსენებია, ის მაკადნიერებს. ჩვენის სათხოვრის აზრი ეს არის, რომ ერთის პოლკის ჯარის ჯამაგირი გვებოძოს, რომ კაცი ჩვენ ვიშოვოთ და იმ ჯამაგირით ის ჯარი გავაწყოთ ევროპის რიგზე, რა რომ მტერი ამ ჯარის რიგს საბოლაოდ რომ სცნავს, ვერას დროს ჩვენს მტრობას ველარ გაბედავს.

მეფე ქართლ-კახეთისა და სხვათა

ერეკლე“

ოქტომბრის 18, წელსა 1782“.

წერილების დაწერის რიცხვიდგან სჩანს, რომ ორივ ეს წერილი ერთ დღეს დაუწერიათ. თვით წერილების მეორე გვერდზედ მიწერილია იტალიურს ენაზედ თარგმანიცა, რომელიც ვენეციაში გადაუთარგმნია პატრს მავროს მთავრობის თხოვნით. ჩვენ ვიცით, რომ ვენეციაში, მეფე ერეკლეს გარდა, სხვა მეფეებსაც ჰქონიათ ხოლმე მიწერ-მოწერა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იქ ამგვარის მასალისა ბევრი რამ უნდა აღმოჩნდეს.

პატრის მავროს გარდაცვალება მიეწერება 1798 წლებს, ერთის წლით წინ, ან უკან. ამ პატრს ევროპაში მგზავრობის გარდა სხვა შრომაც ბევრი დაუძს, პატრი ნიკოლაც თითქმის იმის გეგმაზედ მდგარა, იმერეთის დეპუტაციაც თითქმის მავროს მიერ დაწყებულის საქმის მიბაძვით გაემგზავრა ოსმალეთის მთავრობისა და ნაპოლეონ პირველის წინაშე.

ზ. ჭ.

## დამაკვირდი

უსიყვარულოდ ვერ ამაღლდები.

გიორგი ერისთავი

* * *

სულისა მაღლა მღვიმარებაჲ განსწმენდს და განაახლებს.

იოანე

* * *

უმეცრება ეს არის: კაცმა არა იცოდეს რა, არცარას სწავლობდეს და მცოდინარეს ვისმე უმრახსვდეს და მისთვის ავს უზნობდეს.

ნიკოლოზ ტფილელი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთს ამერიკელს გაუკეთებია უზარმაზარი ეტლი, რომელიც სიდიდითა და თავისის მოწყობილობით არაფრით ჩამოუვარდება ჯავშნიანს გემს. ეს გემი თვლებზედ არის, სიგრძით 37 ადლია, სიგანით 12 ადლი. ამ ეტლში ეტევა ასი კაცი. დადის მასაჩუზეტის შტატში. ამერიკელები დიდის სიამოვნებით დასეირნობენ ამ ეტლით. იქაური გაზეთები ძლიერ არიან აღტაცებულნი ამ გამოგონებით და ამბობენ, კარგი იქმნება ასეთის ეტლებით მიმოსვლა ამერიკის სხვა შტატებშიაც გაიმართოს, რადგანაც ამით შეიძლება მცხოვრებლებს სამშობლოს სიყვარული ჩავუნერგოთ გულშიო.

* * *

პარიჟს გამოფენაზედ, რომელიც 1900 წელს გაიმართება, იაპონია ჰგზავნის ექვსკუთხიან სახლს, რომელიც სულ ერთიანად ფაიფურისაგან არის გაკეთებული. ეს სახლი 3,500 ფუთის სიმძიმეა.

* * *

ბერლინში იბეჭდება ერთი გაზეთი, რომლის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ არა თუ ყველაზედ ნაკლებად ჰყავს ხელის მომწერი, არამედ სრულებით არ არის გავრცელებული. ამ გაზეთს სახელად ეწოდება „იმპერატორის გაზეთი“. იბეჭდება გაზეთის მხოლოდ ორი ცალი თვით იმპერატორის ვილჰელმისათვის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ გაზეთში სულ ახალ-ახალი ამბები იბეჭდება, რაც-კი ჰხდება დედა-მიწის ზურგზე.

* * *

ქალაქ კარლსრუეს *) მცხოვრებნი ძლიერ არიან აღელვებულნი ერთის საქმით. ერთს აქაურს გმირს, რომელსაც „ჰიპნოტიზერსა“ და „მაგნიტიზერს“ ეძახიან, ბრალი ედება, რომ ჰიპნოტიზმის შემწეობით მრავალ ახალგაზდა დედაკაცს ბევრი სიბოროტე ჩაადენინა. ამ ვაჟბატონის გვარი მაევსკი გახლავთ. თუმცა ბევრი დამტკიცებაა იმისი, რომ ეს მაევსკი მართლა ავაზაკობდა, მაგრამ სასამართლოს ძლიერ გაუჭირდება ამ საქმის გარჩევა. საქმე ის არის, რომ ვინც მაევსკიმ მოატყუა და გაძარცვა, ყველანი ხელს აფარებენ და ამბობენ—მაგას არაფერი დაუშავებია, ჩვენ თვითონ ვანდეთ ფული და კიდევაც დიდი სიამოვნებით ვენდობითო. ერთი ბანკის დირექტორი ამ მაევსკის თავდებათ დაუდგა, მაევსკი რომ ფულსა სესხულობდა. მაევსკიმ მოატყუა, ფული არ შეიტანა და დირექტორს გადაახდევინეს. მიუხედავად ამისა, დირექტორი ამბობს, დიდის სიამოვნებით კიდევ დაუდგები თავდებადაო. და ამას მარტო დირექტორი არ ამბობს, ყველანი ამასვე ამბობენ და დაჟინებით ამტკიცებენ, მაევსკი არ არის დამნაშავეო. ამბობენ, შესაძლებელია, მაევსკიმ ჰიპნოტიზმის შემწეობით ჩააგონა ყველას, რომ ჩემი მომხრე იყავი და არაფერში არ გამცეო. (?)

* * *

ბერლინში მოუთმენლად მოელიან გაზეთის „Norddeutcche Allgemeine Zeitung“-ის რედაქტორ-გამომცემლად ნამყოფის ჰინდბერის დღიურის დაბეჭდვას. ჰინდბერი ეხლა ცოცხალი არ არის. ვიდრე ბისმარკი კანცლერად იყო, ზემოხსენებული გაზეთი იმის საკუთარ ორგანოდ ითვლებოდა. თუმცა თვისის განათლებითა და ზნეობით ჰინდბერი ვერაფერ პუბლიცისტად ითვლებოდა, მაგრამ, რადგანაც ბევრ საქმეში დაეხმარა ბისმარკს, ამიტომ უეჭველია მრავალი საიდუმლოება ეცოდინებოდა 70 დ᾽ 80 წლების პოლიტიკიდგან.

* * *

პეტერბურგის ერთს საპატიმროში მთელის წარსულის წლის განმავლობაში ყველა პატიმარსა სწონიდნენ იმ დროსაც, როცა საპატიმროში მიჰყავდათ და იმ დროსაც, როცა ანთავისუფლებდნენ. აღმოჩნდა შემდეგი: 2,560 კაცთა შორის, რომელნიც ცალკცალკე იყვნენ დაპატიმრებულნი, წონა მოვმატა 1.259 კაცს, დააკლდა 1.035 კაცს. 266 კაცის წონამ არც იკლო და არც იმატა. იმავე საპატიმროს საერთო ოთახებში ყოფილა 680 კაცი, ამათში 376 კაცის წონამ იმატა, 284 კაცის წონამ იკლო და 70 კაცის წონამ არც იკლო და არც იმატა. ამ გვარად, საზოგადოდ ყველა პატიმართა წონას ემატება თურმე. გამოანგარიშებულია აგრეთვე, რომ საზოგადოდ პატიმართ პირველ 4 თვეში წონა აკლდება და მერე კი ემატება.

*) კარლსრუე უმთავრესი ქალაქია ბადენის დიდის საჰერცოგოსი, მდინარე რეინის მახლობლადა სძევს. ამ ქალაქში მრავალი მშვენიერი სახლია, მუზეი, თეატრი, პოლიტეხნიკუმი, სხვა და სხვა მანქანები, ქარხნები და სხვანი.

## ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო ახალი წიგნაკი „ცხოვრება ქალწულ-მოწამეთა პისტისა, ელპიდისა, აღაპისა და დედისა მათისა სოფიოსი“, მ. შარაძის მიერ მდაბიურის ენით გადმოღებული, ხოლო გამოცემული უდაბურ წყალ-წმინდის ძმობის მიერ. წიგნაკი შეიცავს 16 გვერდს, სუფთად არის გამოცემული და ღირს ერთი შაური.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

13 აგვისტო

**ბომბეი.** გასულ კვირას ბომბეიში გარდაიცვალა შავის ჭირისაგან 162 კაცი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ შავი ჭირი გაჩნდა აგრედვე სამხრეთ იტალიაში.

**მანილია.** 4 აგვისტოს გამოცხადებულ იქმნა ზავი დროებით. ამერიკელებმა უთხრეს მეამბოხეთ, უწინდელ ადგილებზე დაბრუნდით, რომ თქვენსა და ქალაქ შორის ნეიტრალი ადგილი დარჩესო.

**ნიუ-იორკი.** „Herald“-ის ცნობით, მაკ-კინლეიმ ინსტრუქცია მისცა ზავის კომისიას შეერთებულ შტატებისათვის ლიუსონის კუნძული ითხოვეთო.

**მადრიდი.** დედოფალმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის რომლითაც კორტესები მოწოდებულ იქმნენ 24 აგვისტოსთვის.

**პეტერბურგი.** გამოცხადებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება შესახებ ახალ დებულებისა და თვით დებულება, რომლის წესით უნდა უთხოვონ უმაღლესი ჯილდო.

## განცხადებანი



(3—მ.—1)

# საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეჩვიდმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი. 1898—9 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო მეცნიერება, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3), ბუხჰალტერია (მარტივი, ორ-კეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და მთის ქუჩაზედ, ავთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ზ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—18)

# КЪ ВОПРОСУ

О поднятіи образованія среди грузинскаго дворянства.

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. წმინდა შემოსავალი დანიშნულია სასარგებლოდ დამშეულთა საქართველოში და რუსეთში. ფასი ერთი აბაზი. ვინც ათს წიგნს ან მეტს იყიდის, იმას წიგნი დაეთმობა 16 კაპეიკად. მყიდველთ უნდა მიჰმართონ ხსენებულს მაღაზიას. (12—9)

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

Дозволено цензурою, Тифлисъ 13 го Августа 1898 г.